

შპს „სკ სოციალური გადაწყვეტილებები“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

შპს „სკ სოციალური გადაწყვეტილებები“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	7-12

შპს „სკ სოციალური პასუხისმგებლობა“

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ლარი

	შენიშვნა	2022
ამონაგები		7,918,019
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	6	(2,910,544)
საერთო მოგება		5,007,475
სხვა შემოსავალი		-
ადმინისტრაციული ხარჯი	7	(2,047,628)
რეკლამის და მიწოდების ხარჯი		(14,816)
სხვა ხარჯები		(94,751)
საოპერაციო მოგება		2,850,280
საპროცენტო ხარჯი		(42)
უცხოური ვალუტის გადაფასებით მოგება (ზარალი)		(58,501)
მოგება დაბეგვრამდე		58,544
მოგების გადასახადი		-
პერიოდის მოგება		2,791,736

დირექტორი:



შპს „სკ სოციალური პასუხისმგებლობა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ლარში

	შენიშვნა	2022
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	8	260,527
არამატერიალური აქტივები		10,472
სულ გრძელვადიანი აქტივები		270,999
მიმდინარე აქტივები		
მარაგები		
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	2,388,610
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4	303,304
სულ მიმდინარე აქტივები		2,691,915
სულ აქტივები		2,962,913
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		100
გაუნაწილებელი მოგება		2,719,736
სულ საკუთარი კაპიტალი		2,791,836
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები		-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-
მიმდინარე ვალდებულებები		
საგადასახადო დავალიანება		9,480
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება		161,597
სულ მიმდინარე ვალდებულებები		171,077
სულ ვალდებულებები		171,077
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,962,913

დირექტორი:



შპს „სკ სოციალური პასუხისმგებლობა“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-
საწესდებო კაპიტალი	100	-	100
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	2,791,736	2,791,736
დივიდენდები	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	2,791,736	2,791,836

დირექტორი:



შპს „სკ სოციალური პასუხისმგებლობა“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ლარში

	შენიშვნა	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები		5,599,155
საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები		(320,059)
დასაქმებულთათვის გადახდილი ფულადი სახსრები		(3,759,925)
გადახდილი გადასახადები		(818,845)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		700,326
გადახდილი პროცენტი		(35)
გადახდილი მოგების გადასახადი		-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		700,291
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები		(284,674)
არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები		(180,49)
ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები		-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(302,723)
ფულადი სახსრების საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის გაზრდის შედეგად მიღებული ფულადი სახსრები		100
მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან		607,100
სესხის დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები		(540,294)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		66,906
წმინდა ფულადი სახსრები		464,474
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(161,170)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით		-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით		303,304

დირექტორი:



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ლარში

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „სკ სოციალური პასუხისმგებლობა“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ბათუმი, ჟიული შარტავას გამზირი, N 32, აპატამენტი N87. კომპანიას ორი ოფისი აქვს ბათუმსა და თბილისში (საიდენტიფიკაციო ნომერი 445625379).

კომპანია დაფუძნდა 2022 წლის 18 მარტს.

კომპანიის 100%-ს ფლობს „სოლ ნეტუორქს ლიმიტიდ, C70898 /მალტა/ (Sol Networks Limitides) (მშობელი კომპანია).

შპს „სკ სოციალური პასუხისმგებლობა“-ს 01.11.2022 წლის გადაწყვეტილებით მიენიჭა საერთაშორისო კომპანიის სტატუსი. კომპანია მუშაობს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ყველა თანამშრომელი იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე და საქართველოდან ასრულებს თავის სამუშაოს.

2. მომზადების საფუძველი

განცხადება შესაბამისობის შესახებ

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტისგან, გამოიყენოს მსჯელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. მნიშვნელოვანი განსჯა და შეფასებები, რომელიც იქნა მიღებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, წარმოდგენილია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ ვარაუდით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი და გააგრძელებს თავის საქმიანობას უახლოეს მომავალში. მენეჯმენტს და აქციონერს აქვთ განზრახვა განავითარონ კომპანიის ბიზნესი საქართველოში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის ფუნქციონირებადი საწარმო საფუძვლის მიღებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ბიზნეს აქტივობები, ამოცანები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობები მისი მიზნების მიღწევაში და შედეგები. მენეჯმენტმა შეასრულა კომპანიის ფინანსური პროგნოზების მკაფიო შეფასება 12 თვის განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის დღიდან, რომელიც მოიცავს უკიდურეს მინუს სცენარს, რომელიც მოიცავდა შეფერხების დონის შემოწმებას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის წარუმატებლობა. შეფასება კონკრეტულად ითვალისწინებდა რუსეთ-უკრაინის ომის გავლენის ანალიზს კომპანიის პროგნოზირებულ შესრულებაზე, ლიკვიდობასა და დაფინანსებაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანიის შესაძლებლობა გააგრძელოს მუშაობა ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, ექვს არ იწვევს.

3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო ვადა

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია ან/და გაუფასურების ღირებულებით.

ძირითადი საშუალებების ღირებულება მოიცავს შემენის ღირებულებას და ყველა უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს აქტივის იმ მდგომარეობაში მიყვანამდე, რომელიც აუცილებელია მისი ფუნქციონირებისთვის.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ცვეთის ხარჯი თითოეული პერიოდისთვის აღიარებულია, როგორც ხარჯები მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალება

კომპიუტერები, მონიტორები,
მობილურები, სმარტფონები

სასარგებლო ვადა (წლები)

5

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე.

წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება. ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

3.3 იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი და საიჯარო გადასახდელები

ჯგუფი იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელობაანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას. ჯგუფი იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების

განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური საიჯარო გადახდების შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმისგან, რაც წარდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში

3.4 შემოსავლების აღიარება

შემოსავალი შედგება პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების სერვისიდან მიღებული შემოსავლისგან. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც მოხდება კლიენტისთვის პროდუქტზე საკუთრების გადაცემა ან მომსახურების გაწევა.

შემოსავლის აღიარების მიზნებისთვის, ფასს 15-ის შესაბამისად, ყოველ ხელშეკრულებაზე კომპანია ახორციელებს შემდეგ ნაბიჯებს: ახდენს კონტრაქტის არსებობის იდენტიფიცირებას; განსაზღვრავს შესრულების ვალდებულებას; განსაზღვრავს ტრანზაქციის ფასს; ანაწილებს ტრანზაქციის ფასს თითოეული შესრულების ვალდებულებაზე და აღიარებს შემოსავალს მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა შესრულების ვალდებულება შესრულდება დაპირებული საქონლის ან მომსახურების მიწოდებით.

3.5 ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საწარმოდან აქტივების გასვლით ან ვალდებულების ზრდით, რაც იწვევს კომპანიის საკუთარი კაპიტალის შემცირებას, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებასთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

3.6 უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფუნქციონალური და წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

ოპერაციები და ნაშთები

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული გაცვლითი კურსები წლის ბოლოს არის:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი
2.7020 აშშ დოლარი
2.8844 ევრო

3.7 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება განაწილებულ დასაბეგრ მოგებას წლის განმავლობაში. კომპანიის საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია საანგარიშო თარიღისთვის.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით კომპანიის მოგება იბეგრება მისი განაწილებისას. მოგების გადასახადის განაკვეთი 5%-ს ნაცვლად 15%-სა, ვინაიდან კომპანიას გააჩნია „საერთაშორისო

კომპანიის“ სტატუსი და სარგებლობს საგადასახადო შეღავათით.

საგადასახადო კოდექსის მიხედვით, მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- . დივიდენდების გაცემა
- . ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- . საქონლის/მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდება და ფულადი სახსრების გადაცემა
- . წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აღემატება დადგენილ ზღვარს

დივიდენდის განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღიარებულია მოგების გადასახადის ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდი, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა.

დივიდენდების განაწილების გარდა, მოგების გადასახადი გადაიხდება იმ ხარჯებზე და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან. აღნიშნული გადასახადი აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების სხვა ხარჯების მუხლში.

კომპანია საერთაშორისო კომპანიის სტატუსის ფარგლებში აგრეთვე სარგებლობს შეღავათით, კომპანიის მიერ გაცემული ხელფასები იბეგრება საშემოსავლო გადასახადის 5%-იანი განაკვეთით, ნაცვლად 20%-სა.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო ვადა

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო ვადის განსაზღვრა არის საკითხი მენეჯმენტის განსჯა და ეფუძნება გამოცდილებას მსგავს აქტივებთან. სასარგებლო ვადის განსაზღვრისას აქტივის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, სავარაუდო ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ამორტიზაცია და ფიზიკური გარემო, რომელშიც აქტივი გამოიყენება. ნებისმიერი ცვლილება ზემოაღნიშნულმა პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვლის განაკვეთების კორექტირება.

უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული დავალიანების რეზერვი ეფუძნება კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული მომხმარებლებისგან თანხების ამოღება. ამ რეზერვის შეფასებისას მენეჯმენტის გადაწყვეტილება ეფუძნება მოთხოვნის ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობისა და გადახდის პირობების ცვლილებას.

ცვლილებები საგადასახადო კანონებში

საქართველოში საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთან, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებსა და საქმიანობასთან დაკავშირებული ინტერპრეტაცია შეიძლება არ შეესაბამებოდეს კომპანიის მენეჯმენტის ინტერპრეტაციას. ამის გამო, საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ ტრანზაქციები და დააწესონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, საურავები და ჯარიმები.

საგადასახადო ორგანოებს უფლება აქვთ შეამოწმონ კომპანიის წინა სამი კალენდარული წლის საქმიანობა. ზოგიერთ შემთხვევაში, შემოწმება შეიძლება მოიცავდეს უფრო მეტ პერიოდს.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და კომპანიის საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

4. ფული და ფულის ეკვივალენტები
(ლარი)

ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში
ჯამი

2022
99,110
204,194
303,304

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები
წინასწარი გადახდები
ჯამი

2022
2,356,869
32,042
2,388,611

6. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

ხელფასები
თანამშრომლების დაზღვევა
ოფისის იჯარა
ცვეთის ხარჯი
კომპიუტერული ტექნიკის ხარჯი
სხვა ხარჯები
ჯამი

2022
2,766,561
46,058
71,058
15,984
10,189
696
2,910,544

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ხელფასები
თანამშრომლების დაზღვევა
იურიდიული ხარჯები
მივლინება
ოფისის იჯარა (ადმინისტრაციული ნაწილი)
თანამშრომლების ტრენინგის ხარჯი
სხვა ხარჯები
ჯამი

2022
1,946,480
25,222
25,914
6,986
12,358
9,506
21,162
2,047,628

ა) ხელფასის, ოფისის ქირის, კომპიუტერების, თანამშრომელთა დაზღვევის და სხვა ხარჯები იყოფა ადმინისტრაციულ და გაწეული მომსახურების თვითღირებულებად.

(ბ) კომპანია იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს მისი საოფისე ფართის მოკლევადიანი იჯარისთვის (ანუ ის იჯარები, რომელთა ვადა არაუმეტეს 12 თვეა იჯარის ხელშეკრულების დღიდან და არ მოიცავს ყიდვის უფლებას). იჯარა წარმოადგენს იჯარის გადახდას მოკლევადიანი იჯარით და აღიარებულია ხარჯად წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

8. ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერული ტექნიკა	მობილურები, სმარტფონები	სხვა	ჯამი
თვითღირებულება				
1 იანვარი, 2022	-	-	-	-
შეძენა	244,375	32,556	1,644	278,575
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2022	244,375	32,556	1,644	278,575
დაგროვილი ცვეთა				
1 იანვარი, 2022	-	-	-	-
დარიცხული ცვეთა	16,368	1,554	127	18,048
გაუფასურება	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2022	16,368	1,554	127	18,048
საბალანსო ღირებულება				
1 იანვარი, 2022	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2022	228,007	31,002	1,517	260,527

9. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდეგ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

დირექტორი:

